ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 10

2.07.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის დამტკიცება;
2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა
3. დოქტორანტურის ახალი დებულების დამტკიცება
4. პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცება
5. წარდგინებების დამტკიცება (ბ-ნი ლაშა ხოჯანაშვილი, ქ-ნი ნელი მერაბიშვილი, ბ-ნი დიმიტრი ჩუბინიძე;)
6.პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება - დოქტორანტ ლია დავითაძის თემის რედაქტირებული სათაურის დამტკიცების შესახებ - " უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე"

სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

მზია წერეთელი, იამზე კუტალაძე, ლალი სურმანიძე;

ასოცირებული პროფესორები :

მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ანი ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ირინე ჟვანია, შორენა მამუკაძე, ლუიზა არუთინოვა, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა;

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები:

მეგი თავბერიძე, სალომე თოფურია;

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 19 წევრი**

1. **ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივი კომისიის დამტკიცება;**

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და ცენტრალური აპარატის გადაწყვეტილებით, თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს ამოქმედების კვალდაკვალ, ყოველ ფაკულტეტზე უნდა შეიქმნას დარგობრივი კომისია, რომელიც კურირებას გაუწევს დისერტაციების მომზადებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს ფაკულტეტზე.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ლუიზა არუთინოვა - ჩვენთვის რეალურად დგას ასეთი კომისიის შექმნის საჭიროება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად არ არის მკაფიოდ გაწერილი ამ კომისიის უფლება-მოვალეობებისა და ანგარიშვალდებულების საკითხი, რაც დღეს ართულებს ჩვენს ამოცანას.

ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი - ვფიქრობ, მიუხედავად რიგი ხელის შემშლელი ფაქტორებისა, პირველ რიგში, უნდა შევქმნათ ეს კომისია, დავამტკიცოთ და შემდეგ ცენტრალურ აპარატთან თანამშრომლობით გავწეროთ ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობები.

პროფ. ლალი სურმანიძე - მნიშვნელოვანია დავიცვათ პროცედურის თანმიმდევრული ლოგიკა, კერძოდ, პირველ რიგში, დავამტკიცოთ რაოდენობა, შემდეგ შემადგენლობა და შემდეგ ეტაპზე კომისიის ანგარიშ-ვალდებულება.

პროფ. თამარ გაგოშიძე - აბსოლუტურად ვიზიარებ ინიციატივას და გთავაზობთ კომისიაში პროფესორთა რაოდენობის ამგვარ პროპორციას, თუ მისაღები იქნება თქვენთვის - 7 პროფესორი ფსიქოლოგიის მიმართულებიდან და 4 - განათლების მეცნიერებათა მიმართულებიდან.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

რაოდენობის დამტკიცების შემდეგ სხდომის მდივანმა სთხოვა დამსწრე აუდიტორიას წარმოედგინათ კანდიდატები დარგობრივი კომისიის შემადგენლობის დასაკომპლექტებლად. მსჯელობის შედეგად დარგობრივი კომისიის შემადგენლობაში შეირჩნენ შემდეგი პროფესორები:

ფსიქოლოგიის მიმართულება: პროფ. ნანა სუმბაძე, ასოცირებული პროფესორები: მაია რობაქიძე, ია აფთარაშვილი, ლუიზა არუთინოვა, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, ანი ქიტიაშვილი

განათლების მეცნიერებებათა მიმართულება: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი, ასოცირებული პროფესორები: იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია, ზაქარია ქიტიაშვილი.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ კანდიდატებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

,ი შეიკავა: 0

.როფესორმა ლალი სურმანიძემ აღნიშნა, რომ რამდენადაც თსუ-ის მარეგულირებელ დოკუმენტებში დარგობრივი კომისიის ანგარიშვალდებულებები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის, ამიტომ, მისი აზრით, ამ ეტაპზე ფაკულტეტს აქვს უფლება, იხელმძღვანელოს თავისი ხედვით დარგობრივი კომისიის მოწყობისა და ანგარიშვალდებულებების შესახებ. მისი აზრით, დარგობრივი კომისია ანგარიშვალდებული უნდა იყოს დეკანის წინაშე, რომელიც დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებებსა თუ წინადადებებს წარუდგენს თსუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საბჭომ იმსჯელა შემოთავაზებულ ხედვაზე, განსაზღვრა, რომ დარგობრივი კომისია თავისი მუშაობის შედეგებს გადასცემს უშუალოდ ფაკულტეტის დეკანს, რომელიც უფლებამოსილი იქნება, კანონით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით, იმოქმედოს თსუ-ის შესაბამის ერთეულებთან.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას სადისერტაციო დარგობრივი კომისია, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ფაკულტეტის დეკანთან; ეს უკანასკნელი დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებებსა თუ წინადადებებს წარუდგენს თსუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს.

2. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა**

ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ მოახლოვებული აკრედიტაციის გათვალისწინებით, დამტკიცებულ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის შემადგენლობაში შეიტანოს გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, პირადი სურვილის საფუძველზე, კომიტეტებს, ერთი მხრივ, გამოაკლდა წევრები, მეორე მხრივ კი, ზოგიერთი ჩანაცვლდა ახალი წევრით. ამ რეალობის გათვალისწინებით, მომხსენებელმა აღნიშნა ცვლილებები კომიტეტების შემადგენლობაში, წარმოადგინა დასამტკიცებელი შემადგენლობის სრული ჩამონათვალი (სია ერთვის საბჭოს ოქმს) და საბჭოს სთხოვა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტის შეცვლილი შემადგენლობის დამტკიცება.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტი მიღებული შემადგენლობით (სია ერთვის საბჭოს ოქმს).

3. **დოქტორანტურის ახალი დებულების დამტკიცება**

3. პროფესორმა თამარ აბაშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ (თამარ აბაშიძე, ლუიზა არუთინოვა, ლალი სურმანიძე) მომზადდა ფაკულტეტის დოქტორანტურის ახალი დებულების ვერსია, რომელიც, მიუხედავად სეროზული მუშაობისა, მაინც ვერ იძლევა ზოგიერთ შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს იქედან გამომდინარე, რომ ის, თავის მხრივ, ეფუძნება ცენტრალურ საუნივერსიტეტო წესს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს დასრულებული სახე და დახვეწის პროცესშია; მისი აღნიშვნით, ეს გარემოება ჩვენგან, სავარაუდოდ, მოითხოვს ფაკულტეტის დოქტორანტურის ახალი დებულების ვერსიაში პერიოდულად შესაბამისი საკითხების დაზუსტებას საუნივერსიტეტო მარეგულირებელ დოკუმენტებთან ჰარმონიზაციის მიზნით. იმავდროულად, მან ხაზი გაუსვა მოცემული დებულების აქტუალურობას დოქტორანტურის სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქეთევან ჭკუასელი - ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ჯგუფმა, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო, თუმცა, ვფიქრობ, რადგანაც ამ დოკუმენტის შემუშავება პირდაპირ მიბმულია საერთო საუნივერსიტეტო წესთან, სჯობს, თავი შევიკავოთ დღეს მისი დამტკიცებისგან.

ასოც. პროფ. ანი ქიტიაშვილი - ვეთანხმები ქ-ნ ქეთის, ვუერთდები მადლობის საკითხშიც და მეც ვფიქრობ, დებულების წაკითხვისას აშკარაა დაურეგულირებელი კომპონენტები, რომლებიც შეკითხვებს აჩენს, მაგრამ დოკუმენტში პასუხს ვერ ვპოულობთ. შესაბამისად, სჯობს, დაველოდოთ საუნივერსიტეტო წესის დასრულებას, შემდეგ ვთხოვოთ სამუშაო ჯგუფს, გადაამუშავოს იმ რეგულაციის მიხედვით და დავამტკიცოთ ამ პროცედურაგავლილი.

საბჭომ ცნობად მიიღო ასოც. პროფესორ თამარ აბაშიძის მოხსენება და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფაკულტეტის დოქტორანტურის ახალი დებულება საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნას საერთო საუნივერსიტეტო რეგულაციებთან ჰერმონიზებული სახით.

დაადგინეს: ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნას საბოლოოდ დასრულებულ დოქტორანტურის საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელ დოკუმენტებთან ჰარმონიზებული სახით.

4. პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცება

პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაგზავნილი იყო პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმების 2 ვერსია, რომლებზეც იმუშავა პროფესორთა ჯგუფმა და სთხოვა, დაეფიქსირებინათ წევრებს თავიანთი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ხათუნა მარწყვიშვილი - პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ჯგუფს გაწეული შრომისთვის, თუმცა , ვფიქრობ, ძალიან რთულია ასე ცალსახა და უტყუარი კრიტერიუმებისა და შეწონვის სისტემის შემუშავება, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თითოეულ თვლად კომპონენტს მიენიჭოს პირობითი ქულა, რომელიც დაითვლება შესაბამისი რაოდენობების მიხედვით და არ იქნება ზედა ზღვარი. შესაბამისად, ეს მოდელი გაცილებით კომფორტული უნდა იყოს ყველასთვის, რადგან ზოგი სასწავლო კომპონენტით დააგროვებს ქულას, ზოგიერთი კი სამეცნიერო კომპონენტით და ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცული იქნება.

ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი - ვიზიარებ ქ-ნი ხათუნას პოზიციას, თუმცა, ვფიქრობ, აუცილებელია დაემატოს ამ მსჯელობას მინიმალური კომპეტენციის ზღვრის კომპონენტი იმისთვის, რომ კონკრეტულ ვაკანსიაზე მხოლოდ ერთი კანდიდატის არსებობის პირობებში თავიდან იქნეს აცილებული არაობიექტური შედეგი.

საბჭომ იმსჯელა დასმულ საკითხზე და რეკომენდაცია მისცა პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმებზე მომუშავე ჯგუფს, დაფიქსირებული მოსაზრებების შესაბამისად

ამუშავდეს დოკუმენტი და მხოლოდ შემდეგ გამოვიდეს ფაკულტეტის საბჭოზე ასამტკიცებლად.

დაადგინეს: პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმებზე მომუშავე ჯგუფმა გადაამუშაოს დოკუმენტი საბჭოს მოცემულ სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებების შესაბამისად.

5. **წარდგინებების დამტკიცება (ბ-ნი ლაშა ხოჯანაშვილი, ქ-ნი ნელი მერაბიშვილი, ბ-ნი დიმიტრი ჩუბინიძე;)**

პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დგას სადოქტორო დისერტაციადაცული პირების (ბ-ნი ლაშა ხოჯანაშვილი, ქ-ნი ნელი მერაბიშვილი, ბ-ნი დიმიტრი ჩუბინიძე) წარდგინებების საკითხი იმისთვის, რომ მსვლელობა მიეცეს მათთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების პროცესს. მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით დოქტორანტურის დარგობრივი კომისია არ არის უფლებამოსილი, იმოქმედოს ამ მიმართულებით, მაგრამ დისერტაციადაცული პირების უფლებების დაცვის საკითხი საბჭოს ავალდებულებს ამ გარდამავალ ეტაპზე მიიღოს აღნიშნული პირების წარდგინების გადაწყვეტილება.

საბჭომ იმსჯელა დასმულ საკითხზე და კენჭი უყარა შემოთავაზებულ წარდგინებებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: სადოქტორო დისერტაციადაცული პირები - ბ-ნი ლაშა ხოჯანაშვილი, ქ-ნი ნელი მერაბიშვილი, ბ-ნი დიმიტრი ჩუბინიძე - წარდგენილ იქნენ თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წინაშე მათთვის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

6. **პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება - დოქტორანტ ლია დავითაძის თემის რედაქტირებული სათაურის დამტკიცების შესახებ - " უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე""**

სხდომის მდივანმა, ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ შემოსულია პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება დოქტორანტ ლია დავითაძის სადისერტაციო თემის - „უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე"- რედაქტირებული სათაურის დამტკიცების შესახებ.

საბჭომ იმსჯელა სათაურზე, კენჭი უყარა შემოთავაზებულ ფორმულირებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: რედაქტირებულ იქნას დოქტორანტ ლია დავითაძის სადისერტაციო თემა და დამტკიცდეს სათაურით " უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე".

დაადგინეს:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივი კომისია, რომელიც ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანთან და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოსთან.

2. დამტკიცდეს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების კომიტეტი 2.07.2018 სხდომაზე მიღებული შემადგენლობით (სია ერთვის საბჭოს ოქმს).

3. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნას საბოლოოდ დასრულებულ დოქტორანტურის საერთო საუნივერსიტეტო მარეგულირებელ დოკუმენტებთან ჰარმონიზებული სახით.

4. პროფესორთა საკონკურსო შერჩევის კრიტერიუმებზე მომუშავე ჯგუფმა დოკუმენტი წარმოადგინოს გადამუშავებული სახით.

5. სადოქტორო დისერტაციადაცული პირები - ბ-ნი ლაშა ხოჯანაშვილი, ქ-ნი ნელი მერაბიშვილი, ბ-ნი დიმიტრი ჩუბინიძე - წარდგენილ იქნენ თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წინაშე მათთვის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.

6. რედაქტირებულ იქნას დოქტორანტ ლია დავითაძის სადისერტაციო თემა და დამტკიცდეს სათაურით " უნივერსიტეტისა და სამეწარმეო სფეროს თანამშრომლობის კვლევა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების ტექნოლოგიური ფაკულტეტების საფუძველზე".

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / _____ /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / _____ /